ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

11 (9951) • 27 marti • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ა ლ ი ო ნ ი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

შემოქმედის ეპარქიის მფარველი სამების ხატი უნდა მოიხატოს

გაზეთი „ალიონი“

ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას გურიის ეპარქიის მწყემსმთავარი, მეუფე იოსები მოსახლეობის მხარდაჭერით გეგმავს.

—ქართველმა ხალხმა უფრო დიდი ძნელბედობის ჟამს სამების ტაძრის აგება შეძლო, იმედი მაქვს ჩვენს მფარველ სამების ხატის შექმნაშიც იგივე თანადგომა იქნება. ხატი მოქალაქეთა დანაზოგებიდან და შემოწირულობებიდან უნდა მოიხატოს.

გასულ შაბათს ოზურგეთის პედაგოგთა კავშირის დარბაზში ტაობანკის ინიციატივით მეუფე იოსები საზოგადოების წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს შეხვდა.

ხატის შესაქმნელად შემოწურულობების შეგროვების პროცესს აქტიურად გააშუქებენ ადგილობრივი მედია საშუალებები.

ედპ გააქტიურებას ცდილობს

მარი კოძოევი

დაფუძნებიდან 95 წლის თავზე ეროვნულ დემოკრატიული პარტია კიდევ ერთხელ ცდილობს გააქტიურებას. პარტიის ლიდერებმა უკვე განაცხადეს, რომ მოახლოებულ საარჩევნო ფერხულში აქტიურად აპირებენ ჩართვას. ნაბიჯები უკვე გადადგეს. „კარდაკარ“ კამპანიის ფარგლებში რეგიონებში შეხვედრებიც დაიწყეს. 21 მარტს, ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართეს მოსახლეობასთან შეხვედრა.

აქ შეკრებილ საზოგადოებას შორის, რამდენიმე საჯარო დაწესებულების თანამშრომელიც იყო. შეხვედრის დაწყების წინ დაბა ჩოხატაურის მცხოვრებმა, ქალბატონმა ლიანა დოლიძემ ვერ გვითხრა რა შეხვედრაზე იყო მოსული.

—სახლში მომაკითხეს და მთხოვეს ოზურგეთში ჩამოვსულიყავი, რისთვის? ალბათ გვეტვიან—გვითხრა მან.

მოსახლეობას შეხვდნენ ედპ-ს თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა,

▶▶▶ გვ-3

ნაგომარში საბავშო ბაღი გაიხსნა

მარი კოძოევი

ოცი წლის შემდეგ ოზურგეთის მუციპალიტეტი სოფელ ნაგომარში საბავშვო ბაღმა ისევ დაიწყო ფუნქციონირება.

ახლადგახსნილ ბაღში ერთი ჯგუფი ფუნქციონირებს. ჯგუფში 2-დან 5 წლამდე 25 ბავშვი სწავლობს, მას ათი თანამშრომელი ჰყავს, აქედან ორი პედაგოგია.

ბაღს მენეჯერობას ინგა სიორიძე გაუწევს. როგორც მან გვითხრა ბევრი მსურველი და თანამშრომლები კონკურსის წესით შეარჩიეს.

ნაგომარში ბაღი გასულ კვირას გაიხსნა. ბაღის გახსნას ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ილია ვაშაყმაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილი და ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი, მაკა ჭყონია ესწრებოდნენ.

ნაგომრის ბაღი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის 37-ე ფილიალია, რომელიც მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიხსნა.

ბაღი სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში გარემონტდა და სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის მიერ ახალი ინვენტარით აღიჭურვა.

აღნიშნული ბაღის გახსნას საფუძველი ჩაუყარა არასამთავრობო ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკას" პროექტის ფარგლებში ალტერნატიული ჯგუფის ფუნქციონირებამ.

„ამ ბაღში შექმნილია ყველა საჭირო პირობა, რათა აღსაზრდელებმა თავი კომფორტულად იგრძნონ? გვითხრა მაკა ჭყონიამ.

ინციდენტი სოფ. ნაღობილევში

20 მარტს, დაახლოებით 15 საათზე, სოფ. ნაღობილევში ინციდენტი მოხდა, ამ სოფლის მცხოვრები, 35 წლის ინდმეწარმე მ. კეჭაყმაძე მძიმედ დაჭრეს.

როგორც გვითხრეს, კეჭაყმაძესთან მაღაზიაში, ავტონაწილის შესაძენად მივიდა ოზურგეთელი ც. ს. და ნისიად მსუბუქი ავტომანქანის ნაწილი სთხოვა, რაზედაც კეჭაყმაძისგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მას ავტონაწილი ნისიად მანამდეც ჰქონდა წაღებული.

სავარაუდოდ ც.ს-მ (მას რამდენიმე ახლობელი თუ მეგობარი ახლდა) კეჭაყმაძეს ბლაგვი საგნით (დანით) მძიმე ჭრილობები მიაყენა.

კეჭაყმაძე სასწრაფოდ ოზურგეთის ახალ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისათვის იქ, ოზურგეთელი ბიზნესმენის ი. ს-ის მამას საკმაოდ რთული ოპერაცია გაუკეთეს და ადგილზე ექიმთა მთელი ბრიგადა იყო მობილიზებული. მათ ყველაფერი გააკეთეს კეჭაყმაძის დროულად დასახმარებლად.

ერთ-ერთი კვალიფიციური ექიმის მიერ, გაზეთ „ალიონისათვის“ მიცემული ინფორმაციით, დაზარალებულს გულმკერდისა და მუცლის არეში ბასრი იარაღით რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი და დიაფრაგმა—ჰემოპნევმოთორაქსი. გაუკეთდა სასწრაფო ლაპარატომია, ჰემოსთაზი. გაუკერეს დაზიანებული ღვიძლი, დიაფრაგმა. ორთავე პლევრის ღრუში ჩადებული იქნა ბილაუს დრენაჟი. ამის შემდეგ ის რეანიმობილით გადაიყვანეს ქ. ქუთაისში. ბოლო ინფორმაციით ახლა მ. კეჭაყმაძე თბილისშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით მხარეები სხვადასხვა ვერსიას ავრცელებენ. ერთ-ერთი ვერსიით, ც.ს. მეგობრებთან ერთად ავტონაწილის დასაბრუნებლად იყო მისული, მოხდა შელაპარაკება და ნაღობილეველებმა იგი მაგრად სცემეს. ის ამის გამო „მედალფას“ კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმის თქმით, მას ერთ-ერთ კიდურზე და სხეულის სხვა ნაწილებზე ტრავმული დაზიანებები აქვს.

მომხდარს გურიის შინაგან საქმეთა სამმართველო იძიებს. როგორც გვითხრეს, ოზურგეთის სასამართლომ ც.ს-ს წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა. მ. კეჭაყმაძის დაკითხვა ამ ეტაპზე მისი მძიმე მდგომარეობის გამო არ მომხდარა.

რედაქცია ამ ეტაპზე, გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, სხვა ვერსიებისა და კომენტარების გამოქვეყნებისაგან თავს იკავებს.

ამ ხელისუფლების მიერ არჩეული გზა უფრო მეტად სამოქალაქო დაპირისპირებისკენაა ორიენტირებული

გურიის თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა თემურ სალუქვაძემ ბრიფინგი გამართა ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის.

— ის, რაც მთელი საქართველოს მაშტაბით, ამ ბოლო პერიოდში კონტროლის პალატის მხრიდან განხორციელდა, უნდა განვიხილოთ ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებად, რაზეც უკვე ექსპერტებიც საუბრობენ, ეს არის შემაშფოთებელი. ასევე თუ გავიხსენებთ პრეზიდენტის კახეთში და საერთოდ, მისი ბოლო პერიოდის გამოსვლებს და დიპლომატიური კორპუსებისადმი გამოთქმულ მოსაზრებებს, ბ-ნ ირაკლი ალასანიას მიერ გაჟღერებულ ინფორმაციებს, აშკარაა რომ საკაშვილისა და ამ ხელისუფლების მიერ არჩეული გზა ხელს არ უწყობს სამოქალაქო განმტკიცებას და ის უფრო დაპირისპირებისკენაა ორიენტირებული.

კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული ქმედებები ქართული ოცნების მიმართ, ერთის მხრივ თუ რას ემსახურება, ეს ყველასთვის ნათელია, ხოლო მეორეს მხრივ, ის ატარებს ადამიანთა ურთიერთდაპირისპირების ხასიათს.

დღეს უკვე გაისმის საზოგადოებაში ის მოსაზრებები, რომ დაკითხულ ადამიანთა სიების შედგენაში, მონაწილეობა მიიღო სოფლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. ხელისუფლებამ ამ ადამიანების ირგვლივ შექმნა ასეთი გარემო და ისინი ჩააყენა ზნეობრივად მძიმე მდგომარეობაში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ ვართ ოზურგეთლები, ერთი კუთხის შვილები, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და არ გვინდა ეს დავიჯეროთ, მაგრამ ხელისუფლების არასწორმა ნაბიჯებმა ამ რეალობის წინაშე დაგვაყენა. ამან ხომ ყველა სოფელში გააჩინა ეჭვი, რაც ხელს არ უწყობს ერთიანობას, ურთიერთპატივისცემას. ეს ადამიანები ხომ შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს სრულიად უსაფუძვლოდ გახდნენ ხელით მისათითებელნი. ეს არ არის ის გზა, რომლითაც უნდა იაროს ქართველმა და საქართველომ. ჩვენ ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა.

მინდა მივმართო ყველა დეპუტატს, ყველა სოფლის რწმუნებულს და მათ თანაშემწეებს, რომ კიდევ ერთხელ კარგად გააცნობიერონ, რა შინაარსის ხელისუფლებას ემსახურებიან და რა მდგომარეობაში შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ ამ ხელისუფლების პირობებში. მოვუწოდებ ყველას გონიერებისკენ და შევახსენებ: ეშმაკი ყოფს, ღმერთი აერთიანებს!

7 დღის ამინდის პროგნოზი

27 მარტი, სამშაბათი — მზე +4+17

28 მარტი, ოთხშაბათი — წვიმა, თოვლი -1+4

29 მარტი, ხუთშაბათი — ღრუბელი +3+7

30 მარტი, პარასკევი — ღრუბელი +7+11

31 მარტი, შაბათი — ღრუბელი, წვიმა +9+15

1 აპრილი კვირა — ღრუბელი, წვიმა +9+13

2 აპრილი ორშაბათი — ღრუბელი, +9+14

„ადგილობრივი ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალურ ბიუჯეტზე“

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირმა ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ანალიზი წარმოადგინა. ჩვენ ამ თემაზე კავშირის თავმჯდომარეს ლევან ხინთიბიძეს და ექსპერტ ირაკლი პაპავას ვესაუბრეთ:

ლევან ხინთიბიძე:

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ოზურგეთის არსებული მუნიციპალური ბიუჯეტიდან თანხების დიდი წილი მიდის საკრებულოსა და გამგეობის შენახვაზე, უფრო კონკრეტულად გვესაუბრეთ ამ საკითხზე, რა ოდენობის თანხაზეა საუბარი?

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებიდან ადმინისტრაციული ხარჯების მოცულობა, რომელიც მოიცავს ოზურგეთის საკრებულოსა და გამგეობის სახელფასო ფონდს, ორივე ორგანოს ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების ანაზღაურებას, მივლინებებს, საოფისე და წარმომადგენლობით ხარჯებს, სატელეფონო, საწვავის, მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი ავტომანქანების რემონტს და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვას, ჯამურად შეადგენს 3,5 მილიონ ლარზე მეტს, რაც სპეცტრანსფერის გარეშე დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 37%-ია. გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციულ ხარჯებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი უკავია ბიუჯეტის სხვა გადასახდელებთან შედარებით.

— ისაუბრეთ ასევე პრიორიტეტების დოკუმენტზეც. როგორ ფიქრობთ, სწორადაა თუ არა შერჩეული პრიორიტეტები?

— წარმოდგენილი ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტი ბადებს ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას, რომელიც ეხება ჩამოთვლილი 5 პრიორიტეტული მიმართულების დაფინანსების ოდენობას მუნიციპალური ბიუჯეტიდან, ანუ თუ პრიორიტეტია, დაფინანსებაც ადექვატური უნდა იყოს. გაურკვეველია, რატომ მოხდა სხვადასხვა შინაარსის მქონე მიმართულებების გაერთიანება ერთ კომბინირებულ პრიორიტეტში, რომელსაც სახელად ჰქვია „კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა, სპორტი და ტურიზმი“. ბუნდოვანია, რატომ არ აქვს მითითებული დაფინანსების ოდენობა ერთ-ერთ პრიორიტეტს — „სოფლის მეურნეობის პრიორიტეტებს“; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს რომ ჩავხედოთ, სოფლის მეორნეობაზე მუნიციპალური დაფინანსება მოდის მხოლოდ ერთ ა(ა)იპ-ზე რომლის წლიური ოდენობა მოიცავს დაახლოებით 53 000 ლარს, რომელშიც, ამავდროულად, შედის ამავე ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა წლიური ხელფასი და ადმინისტრაციული ხარჯი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იბადება ლოგიკური კითხვა — რა ფინანსური რესურსით ვავითარებთ სოფლის მეურნეობას?

— თქვენ თქვით, რომ ოზურგეთის ბიუჯეტზე აისახება არჩევნების მოახლოება და საარჩევნო წელს გაცილებით „მდიდარია“ ჩვენი ბიუჯეტი. გვესაუბრეთ ამის შესახებ.

— სიახლეს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საარჩევნო წელიწადის პერიოდში ფინანსური ნაკადის შემოდინება ცენტრალური ბიუჯეტიდან უფრო აქტიურად ხდება, ვიდრე არასაარჩევნო წელს და ეს განსაკუთრებით ეხება სპეცტრანსფერებს. მაგალითად, 2010 წელს, როდესაც ჩატარდა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნები, ცენტრალური ბიუჯეტიდან ოზურგეთის ადგილობრივ ბიუჯეტში, სპეცტრანსფერის სახით, 3 მილიონ ლარზე მეტი შემოვიდა, ხოლო 2011, არასაარჩევნო წელს კი — მხოლოდ 1 085 000 ლარი და ისიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც წინა 2010 წლის ანალოგიურ პროგრამასთან შედარებითაც კი უფრო ნაკლები გახლდათ. რაც შეეხება 2012 წელს, იგივე პროგრამა უკვე ავიდა თითქმის 1,4 მილიონ ლარზე და, ამასთან, მოსალოდნელია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსების შემოდინება, რაც წინასწარი პროგნოზით ოზურგეთის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაზრდის.

— რამდენადაა დამოკიდებული ადგილობრივი ბიუჯეტი ცენტრალურ ბიუჯეტზე?

— უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფინანსურად არათვითკმარია, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცენტრალურ ბიუჯეტზე, რაც, ამავდროულად, ზრდის თვითმმართველობების ცენტრზე დამოკიდებულების ხარისხს. ეს, თავის მხრივ, საკანონმდებლო ბაზის ხარვეზიცაა, რადგანაც თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები და „სხვისი“ ჩარევის გარეშე უნდა წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. თვითმმართველობები ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა იყოს და არა ცენტრალიზებული ხელისუფლების დანამატი. დღეის მდგომარეობით კი თვითმმართველობების უმეტესობას (და მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს) ცენტრალური ბიუჯეტის დახმარების გარეშე ფუნქციონირება გაუჭირდებოდა.

— ადგილობრივი ბიუჯეტიდან პოლიციის დაფინანსებაზე რას გვეტყვით?

— ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ პოლიციას, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო დანიშნულების ორგანოებს, ნამდვილად ესაჭიროებათ ნორმალური დაფინანსება თავიანთი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯზე. პოლიცია გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული და მისი დაფინანსება უნდა ხდებოდეს სწორედ ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ამ სამინისტროს წყაროდან. მიუხედავად იმისა, რომ, წინა წელთან შედარებით, პოლიციის დაფინანსება თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ეს მუხლი მაინც არსებობს და მისი ოდენობა 55 000 ლარით განისაზღვრა, რაც, ჩვენი აზრით, ტენდენციის დონეზე კი კარგია, მაგრამ მაინც არამიზნობრივი ხარჯია.

***

ირაკლი პაპავა:

— აპირებთ თუ არა სოციალური პროგრამების მონიტორინგს?

— რა თქმა უნდა, ჩვენი ორგანიზაცია სამომავლოდ გეგმავს სოციალური დახმარების პროგრამების მონიტორინგს როგორც ოზურგეთში, ისე ჩოხატაურშიც. ამ მხრივ, ჩვენი მიზანია კიდევ უფრო მეტად დაიხვეწოს და უფრო გამჭვირვალე გახდეს მუნიციპალური სოციალური დახმარებების გაცემის პროცესი, რომ მოსახლეობა სათანადოდ იქნას ინფორმირებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესახებ და არცერთი პოტენციური ბენეფიციარი არ დარჩეს კუთვნილი დახმარების მიღების გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ სფეროში ჩვენი ორგანიზაციისა და ორივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლობის შედეგად საკრებულოებმა (როგორც ოზურგეთში, ისე ჩოხატაურშიც) დაამტკიცეს სოციალური დახმარებების გაცემისა და მიღების ახალი წესი; ამ წესში ზუსტად და ნათლად იქნა განსაზღვრული სოციალური დახმარების ფორმები და სახეები, ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, იმ აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთა წარდგენაც მოეთხოვება ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური დახმარების მაძიებელ ბენეფიციარს, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი უწყება, დეტალურად იქნა გაწერილი ადმინისტრირების საკითხებიც — სოციალური დახმარების გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების (გადაწყვეტილების მიღების) წესები და პროცედურები.

— პრეზენტაციაზე აღნიშნეთ, რომ საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება არ ხდება. რა გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად ისეთი, რაც ამის თქმის საფუძველს გაძლევთ?

— დავიწყოთ იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს საკრებულოს, როგორც კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, რომ მან ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას — აგრეთვე მისი დახურვის შესახებ (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 34.1). ფაქტიურად, იგივეს ითვალისწინებს ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოთა დებულებებიც; ამასთან, ეს ინფორმაცია საკრებულოს აპარატის მიერ გამოქვეყნებული უნდა იქნას: 1) ოზურგეთის შემთხვევაში — საკრებულოს ვებგვერდზე, აგრეთვე უნდა გამოიკრას გამგეობის რწმუნებულის შენობასთან განთავსებულ სპეციალურ სტენდზე და გამოქვეყნდეს გაზეთში; 2) ჩოხატაურის შემთხვევაში — საკრებულოს ვებგვერდზე (რომელიც მას, ფაქტიურად, გასული წლის მიწურულამდე, საერთოდ, არ ჰქონია), აგრეთვე უნდა გამოიკრას საკრებულოს და გამგეობის რწმუნებულის შენობასთან (შენობაში) განთავსებულ სპეციალურ სტენდზე.

გასული, 2011 წლის მონაცემებით, ორივე მუნიციპალიტეტის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაცია, როგორც წესი, ძირითადად, მხოლოდ საკრებულოს მთავარ ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე ქვეყნდებოდა (ოზურგეთის შემთხვევაში — დამატებით კიდევ საკრებულოს ვებგვერდზე); არადა, აუცილებელია, რომ ამ სახის ინფორმაციული მასალა უშუალოდ თვითონ საკრებულოთა მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ქვეყნდებოდეს. ინფორმაციის ამგვარი, ეფექტიანი გამოქვეყნება საშუალებას მისცემს საზოგადოებას, რომ მუდმივად ინფორმირებული იყოს საკრებულოს მომავალი სხდომისა და დღის წესრიგის შესახებ; შესაბამისად, საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს შესაძლებლობა ექნება, შეუფერხებლად დაესწროს საკრებულოს სხდომებს, რაც, საბოლოო ჯამში, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოსახლეობის პრაქტიკული ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა.

გაცილებით რთული სიტუაციაა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების (მორიგი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის) შესახებ მოსახლეობის ინფორმირების კუთხით; შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია საკრებულოს კომისიათა სხდომების შესახებ თითქმის არ ქვეყნდება (მეტისმეტად იშვიათი, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა), მათ შორის არც საკრებულოს ვებგვერდზე და არც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ საინფორმაციო სტენდზე. თქმული თანაბრად ეხება როგორც ოზურგეთის, ისე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს. ლოგიკურ შედეგად ვღებულობთ იმას, რომ არცერთ ამ მუნიციპალიტეტში არ არსებობს საკრებულოს კომისიათა სხდომებზე მოსახლეობის წარმომადგენელთა დასწრების პრეცედენტები.

— რამდენად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება?

— გასული წლის მონაცემების მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაცია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: საკრებულოდან ინფორმაციის გამოთხოვისა და მიღებისას რაიმე მნიშვნელოვან პრობლემას ან კანონდარღვევას არ შევხვედრივართ — ორივე მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველნაირად ცდილობდა დროულად და, რაც მთავარია, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოეწოდებინა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

თუმცა იგივეს თქმა არანაირად არ შეიძლება ამ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ რგოლზე — გამგეობა, როგორც წესი, თითქმის ყოველ შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამისი საფუძველი) საჯარო ინფორმაციის გაცემისას ათდღიან ვადას ითხოვს და უმეტეს შემთხვევაში ამ ათდღიან ვადასაც მნიშვნელოვნად არღვევს (არადა, კანონით, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს, გარდა კანონით გათვალისწინებული იშვიათი გამონაკლისისა). თქმული თანაბრად ეხება როგორც ოზურგეთის, ისე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას. თუმცა რას იზამ, როგორც ჩანს, გამგეობები არამარტო ოზურგეთსა და ჩოხატაურში, არამედ, ზოგადად, საქართველოში დღემდე (თუმცა არაფორმალურ საფუძველზე, მაგრამ მაინც) ამ „პრივილეგიით“ და მასთან დაკავშირებული ე.წ. „ხელშეუხებლობით“ სარგებლობენ.

— გაამართლა თუ არა საზოგადოებრივმა დარბაზმა ოზურგეთში?

— პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა. შექმნის დღიდან მოყოლებული საზოგადოებრივი დარბაზი მეტნაკლები სტაბილურობით ფუნქციონირებს — გასულ წელს, მაგალითად, მისი 10 ოფიციალური სხდომა ჩატარდა. იგი, მართლაც რომ, სამოქალაქო მონაწილეობის, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის დიალოგის მნიშვნელოვანი ფორმაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზი დღემდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 119-ე მუხლის საფუძველზე ფუნქციონირებს, საკუთრივ დარბაზის დებულება, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა მისი საქმიანობის წესს, საკრებულოს, სამწუხაროდ, დღემდე არ მიუღია და მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი (თუნდაც დარბაზის სხდომის ოქმობრივი გაფორმება) ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდული. იმედია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამომავლოდ მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ ქმედითი სათათბირო ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას და სტრუტურულად დახვეწს მას.

ედპ გააქტიურებას ცდილობს

საქართველოს პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე, მთავარი კომიტეტის წევრი გოგა გოგნიაშვილი და გურიის ბიუროს თავმჯდომარე მერაბ ჩხაიძე.

პარტიის ლიდერებმა ედპ-ს მესამე გზა უწოდეს.

—„ჩვენ ვართ მესამე გზა. ჩვენ ვამბობთ, რომ ბიძინასა და მიშას მომხრეების გარდა სხვა პოლიტიკური ძალაც არსებობს. მათ პოლიტიკურ გემოვნებაზე ვერ ვიქნებით დამოკიდებული. ისინი ქვეყანას ან გაყოფენ ან გაიყოფენ. ჩვენ ვართ შუა მათ შორის.“— ამბობდა ბაჩუკი ქარდავა.

ედპ-ს ლიდერებმა პოლიტიკა ნაციონალებს ნაწილობრივ „ქართულ ოცნებას“ კი სრულად დაუწუნეს. მათი თქმით, ნაციონალებმა ბევრ ცუდ საქმესთან ერთად კარგიც გააკეთეს, რაც შეეხება ბიძინასა და მის მომხრეებს, მათგან ჯერ-ჯერობით თურმე სასიკეთოს ვერაფერს ხედავენ და ამის იმედი არც მომავალში აქვთ.

დღეს მიმდინარეობს საზოგადოების ორ პოლუსად გაყოფის პროცესი. ერთ მხარესაა „ნაციონალური მოძრაობა“, მეორე მხარეს მისი ანარეკლი; „ქართული ოცნება“ დიდი ფინანსებით, მაგრამ ღირებულებების გარეშე, სადაც პარტიებს, მედიას, ექსპერტებს გარეგნული ფასადისათვის ყიდულობენ და განსხვავებულ აზრს მტრულად აღიქვამენ. პოლიტიკაში ორპოლუსიანობა საფრთხის შემცველია. ამიტომ ედპ ბრძოლას უცხადებს დაყოფას პრინციპით „ჩვენ და ისინი,“ არჩევანის გაკეთებას ცუდსა და უარესს შორის, ამბობდნენ ედპ-ს ლიდერები. გარკვეა, ვის უწოდებდნენ ცუდს და ვის უარესს მათი საუბრიდან ძნელი არ იყო.

—ჩვენ საქართველოს ვთავაზობთ მესამე გზას, ეს რთული, მაგრამ ერთადერთი სწორი გზაა, —ეს იყო ედპ-ს მთავარი მესიჯი.

მესამე გზა ორიენტირებულია ღია საზოგადოებაზე, სადაც ყველა მოქალაქე თავისუფალია და დაცულია თავის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ არჩევანში, ორიენტირებულია დიალოგზე განსხვავებული აზრის პატივისცემაზე, თაობათა შორის სოლიდარობაზე, სამართლიან სახელმწიფოზე, სადაც ხელისუფლება ზრუნავს ყველა მოქალაქეზე, დაცულია უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა. მესამე გზა ორიენტირებულია თავისუფალ მეწარმეებზე, სადაც ბიზნესი დაცულია შანტაჟისაგან და ხელფეხგახსნილია. ამიტომ „მესამე გზით მავალნი“ თვლიან, რომ მათ საზოგადოება გვერდით უნდა დაუდგეს.

შეხვედრა არც ისე დიდხანს გაგრძელდა. სტუმრებმა მონოლოგის შემდეგ შეხვედრის კითხვა პასუხის რეჟიმში გადაყვანა სცადეს, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან კითხვები არ დასმულა. ამას ბაჩუკი ქარდავამ ასეთი განმარტება მისცა „ალბად ძალიან ამომწურავად ვისაუბრეთო...“

რატომ ვერ მოხვდა საქართველო „ბლუმბერგის“ მიერ გამოქვეყნებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს მქონე ქვეყნების ჩამონათვალში?

—გურიის რეგიონში არსებული მძიმე საგადასახადო წნეხი და ბიზნეს-გარემო, სწორედ რომ არის პასუხი იმაზე, თუ რატომ ვერ მოხვდა საქართველო „ბლუმბერგის“ მიერ გამოქვეყნებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს მქონე 50 ქვეყნების ჩამონათვალში—განაცხადა ოზურგეთში ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ მთავარი კომიტეტის წევრმა, გურიის რეგიონის კურატორმა ლევან კალანდაძემ.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა, რაც აწუხებთ რეგიონის წვრილ და მცირე მეწარმეებს, არის მძიმე საგადასახადო წნეხი, რაც ზედმეტად მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებასა და დასჯის დრაკონული მეთოდების გამოყენებაში გამოიხატება.

—სანამ საგადასახადო დევნა და მცირე მეწარმეების დატერორება არ დასრულდება ამ რეგიონში, ბიზნესის განვითარებასა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე მთავრობის მხრიდან საუბარი ყოველთვის უადგილო იქნება. და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს დევნა განსაკუთრებით დაუნდობელი და სასტიკი არჩევნების მოახლოების დროს ხდება—განაცხადა ლევან კალანდაძემ.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა უნდა გაიზარდოს

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ახალი მემარჯვენეები ჟურნალისტებს შეხვდნენ და მათი პარტიის გეგმებზე ისაუბრეს.

ახალი მემარჯვენეების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის თქმით, პარტია მზადაა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის.

გურიის მხარის თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე ნათია კრავეიშვილმა მომავალ არჩევნებში ქალთა როლის გაზრდაზე ისაუბრა. ახალი მემარჯვენეების ქალთა ორგანიზაციას 10 წელი შეუსრულდა. მისი თქმით, მათი მიზანია მემარჯვენე ქალების და მათი მხარდამჭერების მობილიზება, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, მცირე ბიზნესში დასაქმებულ და სოფლად მცხოვრები ქალების ხელშეწყობა.

კრავეიშვილის განცხადებით, „ახალი მემარჯვენეების“ მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება და სოფლად მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებაა. ამ თემაზე მათ ვიდეოკლიპი „სოფელს მოვლა უნდა“ წარმოადგინეს, რომელიც უკვე გადის ყველა რეგიონული ტელევიზიით.

შემდეგ არჩევნების წინ მოსახლეობის აღწერაზე ისაუბრეს. ამ კომისიის თავმჯდომარე ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძეა, ხოლო გურიის რეგიონის კომისიას დავით წულაძე უხელმძღვანელებს.

დავით წულაძის თქმით, ამ პროცესში ჩართულნი არიან პოლიტიკური პარტიები. „ახალი მემარჯვენეები“ იღებენ პასუხისმგებლობას ობიექტურად ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაზუსტდეს ამომრჩეველთა სიები, რაც ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სამართლიანი არჩევნებისათვის.

ჩვენი მომავალი

მეგობრები

მე სოფო მქვია, მე თამთა — ასე გამეცნენ გოგონები, ღიმილიანი სახეებითა და ნათელი თვალებით.

სოფო ჩანქსელიანი, 14 წლის. დვაბზუს საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე. არის ასევე ოზურგეთის სამხატვრო სკოლის III კლასის მოსწავლე, (მასწავლებელი ვახტანგ მამეიშვილი). ხატვა 10 წლიდან დაუწყია და თავდაპირველად ბუნების სურათებს ხატავდა თურმე. თვითნასწავლი მხატვარია სოფოს მამიდა ნარგულ ჩანქსელიანი. სოფოს თავადვე გამოუთქვამს სურვილი, ევლო სამხატვრო სკოლაში და ახლა ძალიან კმაყოფილია. აქ ხატვის ტექნოლოგიები შემასწავლეს, უფრო დახვეწილი გავხდი და ნამუშევრებიც უფრო მრავალფეროვანიაო — ამბობს. სასკოლო საგნებიდან მათემატიკა ყვარებია, წიგნებიდან სათავგადასავლო წიგნების კითხვა უყვარს. როცა კითხულობ, ზოგჯერ მინდა ამ ამბავში თავადაც ვიყო ჩართული. სოფოს ერთი და ჰყავს, თიკო მასზე უფროსია, ის მუსიკით ყოფილა გატაცებული. სოფოს ძირითადად ტანსაცმლის ხატვა იტაცებს და ძირითად პროფესიადაც დიზაინერობა გადაუწყვეტია.

— „დიზაინერობა ძნელი არ მგონია, მაგრამ ვიცი, არც ადვილი იქნება.“ ეს მისი ბავშვური ფიქრია და ბავშვური ოცნება, რომლის განხორციელება უდიდეს შრომას მოითხოვს მისგან, მაგრამ ისეთი ხალისით ჰყვება ამ პროფესიის ხიბლზე, გულწრფელად შეიძლება უსურვო წარმატება. მისი საყვარელი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძეა.

სოფოს ძალიან უყვარს ფეხბურთი. უყურებს ყველა მნიშვნელოვან თამაშს. მისი საყვარელი გუნდი მადრიდის „რეალია“, საყვარელი ფეხბურთელი - ქრისტიანო რონალდო. სკოლაში ჰყავს მეგობრები, მხიარული და კონტაქტიანი გოგონაა. ჰყავს გამორჩეული მეგობარი და მას თამთა ჰქვია.

თამთა ოთხმეზური, დვაბზუს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე. ოზურგეთის სამხატვრო სკოლის III კლასის მოსწავლე,(მასწავლებელი ვახტანგ მამეიშვილი).

ხატვის ნიჭი მასში შორეული ფესვებიდან მოდის დედის მხრიდან. დიდი ბაბუა ხატავდა თურმე. ხატავს და ქარგავს მისი ნათესავი მაია სადრაძეც. ხატვა ეხერხება მის უმცროს ძმასაც, თუმცა ის სპორტითაა გატაცებული და ჭიდაობის კლუბში დადის.

თამთას ხატვა 6-7 წლის ასაკიდან დაუწყია. — სასკოლო საგნებიდან უცხო ენა მიტაცებს, ადვილად ავუღე ალღოო — ამბობს. სპორტიდან ყველაზე მეტად კალათბურთი მოსწონს. უყვარს სიმღერა და თავადაც ხშირად ღიღინებს. წიგნებიდან, მასაც სათავგადასავლო წიგნების კითხვა იტაცებს.

თავდაპირველად ტანსაცმელი დაუხატავს და შემდგომაც ყველაზე მეტად მოსწონს ტანსაცმლის ხატვა. მხატვარ-დიზაინერი უნდა გავხდეო, ამბობს გულდაჯერებით. მოსწონს, როცა ხატავს. ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებო. ამბობს, რომ არის პირდაპირი და შეუძლია ადამიანებს უთხრას ის, რასაც ფიქრობს. პირს უკან თქმას ვერ ვიტან, რატომ არ უნდა თქვა ის, რასაც ფიქრობ? — გულწრფელად კითხულობს გოგონა, რომელიც ახლახან შესდგომია ცხოვრების გზას. ისიც თავისი მეგობარივით მხიარულია და გახსნილი. ჰყავს მეგობრები და მეგობრობაში ერთგულებას და პირდაპირობას აფასებს. მისი საყვარელი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძეა, საყვარელი მომღერალი „ემინემი“. სწყინს, როცა უფროსები მათ თაობას საყვედურობენ.

— კარგი მეგობარია, გახსნილი, პირდაპირი, ჩვენ ერთმანეთისაგან არ გვწყინს შენიშვნები, ერთმანეთს რჩევას ვეკითხევით და ერთმანეთის აზრსაც ვიზიარებთ, ამბობენ მეგობრები.

„გაივლის დრო და“... ცხოვრების გზებს შეჰყვებიან გოგონები, ახლა არჩევანი გაკეთებული აქვთ. რა, რითი შეიცვლება, ეს მათი გადასაწყეტია და ამას დრო და ცხოვრება თავად დაანახებს სოფოს და თამთას. გულწრფელი მეგობრობა კი ერთი იმ ჯილდოთაგანია, რაც ადამიანმა ცხოვრებისგან შეიძლება მიიღოს. წარმატებები ვუსურვოთ მათ.

თოჯინების თეატრში ახალი სპექტაკლი წარმოადგინეს

მედვედევის „ფათერაკების“ მიხედვით ახალი საბავშვო სპექტაკლი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრში რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ დადგა. სპექტაკლი აღმზრდელობით თემაზეა და პატარა მაყურებელმა კარგად მიიღო.

როგორც თეატრის დირექტორმა ლაშა კუტალაძემ გვითხრა, უახლოეს ხანში კიდევ ერთი სპექტაკლის „აბეზარას“ პრემიერა ექნებათ და შემდეგ ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სოფლებში 130 გასვლით სპექტაკლებს გეგმავენ. გარდა ამისა ყოველ კვირას უშუალოდ თეატრში უფასო სპექტაკლები გაიმართება.

ლაშა კუტალაძემ ასევე გვითხრა, რომ აქვთ საინტერესო პროექტი—„ილიას ეპოქა,“ რომელიც სკოლებს შორის ინტელექტუალურ შეჯიბრებებს ითვალისწინებს. ამ პროექტის განხორციელებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარების იმედი აქვთ.

ვულოცავთ!

ჩემს საყვარელ. ნიჭიერ „დიდ“ შვილიშვილს ამირან მამულაიშვილს

თორმეტი წლისა გაგვიხდი,
ჩემო ბაბუ, კაცი „დიდი,“
თუ დასჭირდა რამე მამულს,
შენც გქონოდეს შენი რიდი.
სიხარულო, სიამაყევ,
ჩვენი ჯილაგის და გვარის,
ღმერთს შენთვისაც გამოეყოს,
რაც სიკეთე ქვეყნად არის.
იყავ წინაპართა საქმის,
ნამდვილი გამგრძელებელი,
მისკენ გქონდეს მიპყრობილი,
შენი გული, შენი ხელი.
სამშობლოსთვის, ოჯახისთვის,
იდღეგრძელე დიდხანს, მარად,
დედიკო არ დაივიწყო,
სულ ედექი მამას ფარად.
დაბადების დღეს გილოცავ,
მჯერა, ამაყად ივლი,
ლამაზი დედის შობილი
და კაცური კაცის შვილი.

გილოცავ დაბადების დღეს — 27 მარტს, გეხვეევი და გკოცნი ბევრს.

ბაბუა ამირანი.

საინტერესო დღე პროკურატურაში

გიორგი ასათიანი

ოზურგეთის რაიონულმა პროკურატურამ პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში მოაწყო ინტელექტუალური კონკურსი სკოლებს შორის საქართველოს კონსტიტუციის ცოდნაში.

პროექტში ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის გუნდმა „ატაგენუსმა“ გაიმარჯვა, რის შემდეგაც პროკურატურამ გაგვიკეთა საჩუქარი,—„ერთი დღე პროკურატურაში“. გამარჯვებული გუნდის ათი წევრი გადავნაწილდით ხუთ სხვადასხვა სამსახურში.

სასამართლოში თეონა ხიზანიშვილი და დიმიტრი გობრონიძე წავიდნენ. პოლიციაში— ელენე მგელაძე და საბა მამალაძე; საჯარო რეესტრში— რეზო მგელაძე და ვაკო ჩხაიძე; სამოქალაქო რეესტრში—სალომე მახარაძე და დავით მამინაშვილი. პროკურატურაში წასვლა წილად გვხვდა მე და ანა ჯაფარიძეს. ასევე ჩვენთან იყო ფინალში დამარცხებული გუნდის კაპიტანი თამთა ჩხაიძე (№3 სკოლა). პროკურატურაში მისულები თბილად მიგვიღეს მთავარმა პროკურორმა კახა კოჩივარმა და პროკურორმა მალხაზ სირაძემ. შემდეგ გადავნაწილდით ორ პროკურორთან. ანა ჯაფარიძეს ირაკლი მინაშვილთან ერგო მუშაობა, მე ირაკლი გაჩეჩილაძესთან. სამუშაოს დაწყებისთანავე კარგად აგვიხსნეს პროკურატურის დანიშნულება, გაგვაცნეს მართლმსაჯულების სისტემები. ჩავერთეთ საგამოძიებო პროცესში. დავესწარით რამოდენიმე სასამართლო სხდომას, განაჩენის გამოტანის პროცესს.

ამ პროექტმა ყველას ძალიან დიდი სტიმული მოგვცა, უკეთესად ვიცოდეთ საქართველოს კონსტიტუცია, კანონები და ვიყოთ აქტიური მოქალაქეები.

საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში

მოყვარულ მეფუტკრეთა დასახმარებლად

საქართველო აგრარული ქვეყანაა და აგრარული პოლიტიკა უნდა დაეხმაროს ქვეყანას პრობლემის გადაჭრაში.

მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ლამაზი და პერსპექტიული დარგია, რომლის განვითარება ეროვნული საქმეა და ერის სიამაყე.

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას საფუტკრეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გვყავდეს ჯანსაღი და ძლიერი ოჯახები, რომლებიც საწინდარია მაღალპროდუქტიულობისა.

წლის სხვადასხვა დროს საფუტკრეში სხვადასხვა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი. გამოზამთრებული ფუტკრის ოჯახის მდგომარეობა გვიჩვენებს მეფუტკრის მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობის ხარისხს. თუ დარღვეულია ფუტკრის ნორმალური დაზამთრებისათვის საჭირო პირობები, ადრე გაზაფხულზე ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებათა გამოვლენას.

უჩვეულო ცივი და ხანგრძლივი გამოდგა 2012 წლის გაზაფხული ფუტკარ-მეფუტკრეებისათვის, რამაც შეაფერხა საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარება. ჩვენი მოწოდებაა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები, დროს ნუ დავზოგავთ, თავს ნუ შევიკავებთ ფინანსურ ხარჯებზედ, რადგან შემდგომ იგი ხუთმაგად აგინაზღაურდებათ.

ფუტკრის კვების ზოგიერთი საკითხი

საკვების რაოდენობა დიდ გავლენას ახდენს ფუტკრის ზამთრობასა და ადრე საგაზაფხულო განვითარებაზე. ფუტკარი გრძნობს საკვების უკმარისობას და დედა ფუტკარს არ აძლევს საშუალებას ადრე დაიწყოს კვერცხდება. ასეთ ოჯახში მოზამთრე გუნდის განახლება გვიან იწყება. შედარებით ხნიერი ფუტკარი მალე კვდება და ოჯახი სუსტდება, რაც იწვევს მის დაბალპროდუქტიულობას.

შეიძლება ფიჭაში თაფლი ჩაკრისტალდეს და მოზამთრე გუნდისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდეს. ამიტომ მეფუტკრემ ზამთრის დადგომის წინ (ცივი ამინდების დადგომა) ეს უნდა შეამოწმოს. თუ ეს შემჩნეული იქნა, ასეთი ფიჭები უნდა შეცვალოს ხარისხიანი, სამარაგო საკვებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოზამთრე ფუტკარი შიმშილით დაიღუპოს. თუ თაფლიანი ჩარჩოები არ მოგვეპოვება, მშიერი ფუტკარი შაქრის ხსნარით უნდა ვკვებოთ. დანარჩენ შემთხვევაში ვაძლევთ სპეციალური ჭურჭლით ან პირდაპირ მშრალ ფიჭაში ვასხამთ, რომელსაც ბუდეში განაპირა ფუტკრიან და დამცველ ჩარჩოებს შორის დავდგამთ.

ადრე გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახების, გარემო პირობების გათვალისწინებით ხდება დამატებითი კვება სხვადასხვა მეთოდებითა და საშუალებებით.(იგულისხმება ჩასაკიდი ტილოს და ხის საკვებურები, ზემოდან დასადგმელი საკვებურები , ასევე ერთჯერადი პარკები, ქილები და სპეციალურად გარედან მისადგმელი მოწყობილობანი), რომლებიც იოლი და მოსახერხელია. ამავე დროს საჭიროა დაცული იქნას ფუტკრის ოჯახებს შორის ქურდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ადრე გაზაფხულზე, როცა გარემო ტემპერატურა დაბალია, საკვების შევსება ხდება ცომის მაგვარი საკვებით—კანდით. (იგი შემზადებულია დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატებით).

გაზაფხულზე, პირველი გამოფრენის დროს ფუტკრებზე დაკვირვება საშუალებას აძლევს მეფუტკრეს, გააკეთოს წინასწარი დასკვნა გამოზამთრების შედეგებზე.

გამოფრენის (გამომღერის) დროს ფუტკარი მხიარული ზუზუზნით გამოდის სკიდან. წმენდს კუჭს და შეისწავლის ადგილმდებარეობას. ეს კარგის ნიშანია, ოჯახში ყველაფერი წესრიგშია.

სუსტი ოჯახიდან ნაკლებად გამოდის ფუტკარი. ასევე ნაკლებ ენერგიულად გამოდის უდედო ოჯახისაგან. გარეთ გამოფრენილი მაშინვე უკანვე ბრუნდება, დაცოცავს მისაფრენ ფიცარზე, თითქოს დედას ეძებს. ასევე მცირე რაოდენობით გამოფრინდება საკვები მარაგის უქონლობისა და დიდი ოდენობით ოჯახში ფუტკრის დაღუპვის დროს. სუსტი და უდედო ოჯახები უნდა შევაერთოთ.

როცა მომჟავო სუნი და დასველებული მკვდარი ფუტკრებია, ამ შემთხვევეში სკა დანესტილია, ანდა თაფლი ამჟავდა, ფიჭები დაობილია, სველია სკის კედლები. (ასეთ დროს ფუტკრის ოჯახი უნდა გადავსვათ ახალ სკაში). ჭუპრის გამოყრა შიმშილობის ბრალია. (ასეთ ოჯახებს უნდა დავეხმაროთ საკვები მარაგით). სკიდან ცვილის ნაწილაკებისა და უთაო ფუტკრების გამოყრა, საფარი ტილოსა და ბალიშის ნარჩენების საფრენთან გამოჩენა ნიშნავს, ასეთ ოჯახში თაგვები ბინადრობს. (ამ შემთხვევაშიც უნდა შევცვალოთ დაზიანებული ფიჭები, საფარის სათბუნებელი საშუალებები და ფუტკარი გადავსვათ ახალ სკაში).

შიმშილობის შემთხვევაში ვნახულობთ უჯრედებში თავდაყირა ჩაყუდებულ მკვდარ ფუტკრებს, ასეთ ოჯახებიდან ვიღებთ ცარიელ ჩარჩოებს და სანაცვლოდ ვუდგამთ გადათლილ თაფლიან ჩარჩოებს ან ვაძლევთ მომზადებულ სიროფის ხსნარს.

თუ საფუტკრეში ნოზემატოზი (კუჭის აშლილობა) აღმოჩნდა, სამკურნალოდ სიროფთან ერთად ვაძლებთ ფუმაგილინს, ნოზესტატს.

ვაროატოზის (ტილის) საწინააღმდეგოდ ფუტკრის ოჯახი, ადრე გაზაფხულზე უნდა დამუშავდეს ვარაკომის წყალხსნარით, ვაროსტოპით, მავრიკით (სერთიფიცირებული პრეპარატის არჩევა უნდა მოხდეს სპეციალისტის რჩევით). ეს პრეპარატები შეიძლება გამოვიყენოთ მონაცვლეობით. (მაგ. ვარაკომი ერთი მილიგრამი გახსნილი 3 ლიტრ წყალში, მიეცეს თითო ჩარჩო ფუტკარზე 10 მილილიტრის რაოდენობით ჩარჩოთა შორის), 10 გრადუსი სითბოს პირობებში, 7 დღის ინტერვალით. (სამჯერადი მკურნალობით).

თუ საფუტკრე წინა წლებში ფუტკრის ბარტყის სიდამპლეზე არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდა, გაზაფხულზე გამაღიზიანებელი კვების დროს 1/1 მომზადებული შაქრის სიროფთან ერთად მკურნალობის ან პროფილაქტიკის მიზნით უნდა მივცეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიბიოტიკები, (ერთ-ერთი ან მონაცვლეობით): ტერამიცინი, ოქსიტეტრაციკლინი, ტეტრაციკლინი, სტპერტომიცინი, ნორსუფაზოლ ნატრი, (1 გ. 1ლ. შაქრის სიროფში, ერთ ჩარჩო ფუტკარზე 100-150 გრამის ოდენობით). ასევე ეფექტურია პრეპარატები: ბაქტოპოლი, სტარტოვიტი, ბიოვეტის 10 %-იანი ფხვნილი და ა.შ. თუ ფუტკრის ოჯახის საკვების მარაგის შევსება გვინდა, ამ შემთხვევაში ვამზადებთ უფრო სქელი კონდიციის სიროფს, რათა არ მოხდეს ფუტკრის გადატვირთვა ზედმეტი სიროფის გადამუშავებაზე. (დამატებით საკვებს ვაძლევთ განსაზღვრული რაოდენობით, ოჯახის კონდიციის მიხედვით).

დროულად და ხარისხიანად ჩატარებული სამუშაოები და ასევე თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დიდს და საინტერესოს გახდის თქვენს საქმიანობას. ასევე დიდ სამსახურს გაუწევთ მსოფლიოში აღიარებულ, 45 ქვეყანაში ცნობილ, სამი ოქროს მედლის მფლობელ ქართულ ფუტკარს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში იმატა მოყვარულ მეფუტკრეთა რაოდენობამ. ამ ეროვნულ საქმეში აქტიურად ჩაერთო ეკლესია.

კვლავ იფუნქციონირებს საქართველოს მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტის (რექტორი, აკადემიკოსი ვენერა სტეფანიშვილი) გურიის ფილიალი, სადაც მეფუტკრეობას ასწავლიან. უახლოეს ხანში მეფუტკრეებისათვის გათვალისწინებულია სემინარის ჩატარება.

ჯანვერდ ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე.
დაგვიკავშირდით: ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (რკინიგზის სადგურთან ახლოს)
ტელ: (599) 21 41 43.

„გურიასა“ და „მერცხალისათვის“ წარუმატებელი ტური

ლანჩხუთის „გურიასა“ და ოზურგეთის „მერცხალისათვის“ პლეი-აუტის მორიგი ტურის მატჩები ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე უიღბლო გამოდგა.

ლანჩხუთის „გურია“, რომელმაც III ტურში ბოლნისში დაამარცხა „სიონი“ და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების რეალური შანსი გაუჩნდა მოულოდნელად ოზურგეთში საჩხერის „ჩიხურასთან“ დამარცხდა. 37-ე და მე-40 წუთზე საჩხერელმა ნახევარმცველმა დავით კირკიტაძემ ორი გოლი გაუტანა გურულებს და „ჩიხურას“ უმაღლესი ლიგის შანსები კიდევ უფრო გაზარდა.

რაც შეეხება „მერცხალს“, მან კვლავ წააგო. ამჯერად ბათუმის „დინამოსთან“ –0:1. როგორც ჩანს „მერცხალს“ ვერც ჩამოყვანილმა ფეხბურთელება უშველა და კვლავ I ლიგაში იასპარეზებენ.

თორნიკე მახარაძის დიდი წარმატება

ქ. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა (I ლიგა).

10 წლამდე მოჭადრაკეებს შორის გამოდიოდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი, №2 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე თორნიკე მახარაძე. ტურნირი შვეიცარული სისტემით დამთავრდა.

თორნიკემ 48 მონაწილეს შორის 7 ქულით II შედეგი აჩვენა. მან 9 შეხვედრიდან 6 მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა, ერთი წააგო და ტურნირის ორგანიზატორებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თორნიკეს მწვრთნელია ელგუჯა ურუშაძე. წარმატებულ მოჭადრაკეს 30 მარტს 9 წელი უსრულდება.

წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ს.ს. „საქპრესა“ატარებს აქციას წიგნის მოყვარულთათვის:
1. დიდი ქართველები–15 ტომი;
2. 100 ადამიანი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო;
3. ქართული სიტყვიერება–9 ტომი.
ის, ვინც აღნიშნულ გამოსულ გამოცემებს შეიძენს, ერთდროულად 5 ლარად ერთ ტომს, ხდება აქციის მონაწილე და შემდეგ ტომებსაც მიიღებს აღნიშნულ ფასად.
აქცია გრძელდება 1 აპრილამდე.
„საქპრესის“ ოზურგეთის ფილიალი.
ტელ: (577) 97 90 42.

გენადი ნიკოლოზის ძე ცისკარიშვილის (მცხოვრები ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქ. სახლი 21, ბინა 48)

განცხადება

ბატონებო! მე მივიღებ კანონიერ შემოწირულობებს. იგი გადააგზავნეთ მისამართზე: საქართველო, ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის ქ. სახლი №21, ბინა №48 .

გენადი ცისკარიშვილი.

მეუღლე ენვერი, შვილები გია, ლია; შვილიშვილები გიორგი, ანა, მიშიკო, ლელუკა; რძალი მარინა დათუნაშვილი; სიძე კუკური შაფაქიძე, უახლოესი ნათესავები იუწყებიან **თამარ თორთლაძე-ხაჭაპურიძის** გარდაცვალებას.
დაიკრძალა 24.03 ქ. ოზურგეთში.

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი იუწყება ცენტრის ყოფილი დირექტორის, ღვაწლმოსილი ექიმის, **შალვა (ღულუნი) შავიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები თენგიზ შარაშიძე, ავთანდილ თავართქილაძე, ნუგზარ ასათიანი, ოთარ გაგუა ოჯახებით თანაუგრძნობენ გია ხაჭაპურიძეს დედის **თამარ თორთლაძე-ხაჭაპურიძის** გარდაცვალების გამო

პრობლემები გაქვთ დასუფთავებასთან დაკავშირებით? დარეკეთ:
27 44 67; (595)30 50 58.
ოზურგეთის დასუფთავების სამსახური.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311
რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru